პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 დეკემბერი, კვირა, 1987 წ.
№ 248 (9659) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

წინანდალი და აფენი

ბუზინ თბილისის სახელმწიფო ცირკში სოფელ წინანდლისა (თელავი) და ქვემო ქედის (წითელი წყარო) გუნდების შეხვედრით დაიწყო ქართულ ჰიდაობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის სპორტსახკომის ერთობლივი შეჯიბრების მორიგი ტური. გაიმარჯვეს თელავის წარმომადგენლებმა — 6:3. ფალავნის სახელი გამარჯვებული გუნდის წევრს თამაზ წითელაურს ხვდა.

აფენის (ლაგოდეხი) და მერეთის (გორის რაიონი) მოჭიდავეთა დაძაბულ პაექრობაში უძლიერესი ბოლო წყვილის ორთაბრძოლამ გამოავლინა. შეხვედრა მოიგეს აფენელებმა — 5:4. ფალავანიც აფენელი გია მუმლაძე გახდა, მან სამივე შეხვედრა წმინდად მოიგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდერებმა თითო პარტია გადადეს

ბრიუსელში (ბელგია) მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა და ვაუთა შერეულ ტურნირში მეორე წრის შეხვედრები დაიწყო.

I ტურში მაია ჩიბურდანიძე დაუზავდა დიდოსტატ მაქსიმ დლუგის (აშშ). უნგრელმა დიდოსტატმა ჟუჟა პოლგარმა შავი ფიგურებით დაამარცხა ბელგიელი საერთაშორისო ოსტატი ლუი ვიანტსი, პია კრამლინგმა (შვეცია) — უილიამ უოტსონი (ინგლისი). ერიკ ლობრონიკმა (გფრ) და ნონა გაფრინდაშვილმა ჭარტია გადადეს.

ამრიგად, 5 ტურის შემდეგ ლიდერობენ ნონა გაფრინდაშვილი და ერიკ ლობრონი (გფრ) — 3-3 ქულა (1-1).

რატომ ამადლიან?

წესი და რიგი, თუ გნებავთ, აუცილებლობა მოითხოვს, რომ ყველა სპორტულ ასპარეზობას ექიმი ან მედიცინის მუშაკთა ბრიგადა ემსახურებოდეს. ამაზე არავინ დაობს, მაგრამ შეჯიბრების ორგანიზატორები მაინც აწყდებიან პრობლემებს — ზოგჯერ მედიცინის მუშაკები ამადლიან კიდეც თავიანთ სამსახურს, ზოგჯერაც... ეს ამბავი 19 დეკემბერს მოხდა, თბილისის სახელმწიფო ცირკში ქართულ ჰიდაობაში საქართველოს სოფლებისა და ქალაქების უბნებს შორის გამართულ რესპუბლიკურ პირველობაზე ერთი მაყურებელი ცუდად გახდა, მედიცინის მუშაკებმა ის მაყურებელი ჩაავადმყოფოში გადაიყვანეს და... უკან აღარ მობრუნდნენ. მაშინ ეს ამბავი შეთხვევითობას და გაუგებრობას მივაწერეთ და ამიტომ მკითხველთა სამსჯავროზე არ გამოგვიტანია. მაგრამ, აი, იგივე შეჯიბრების გუშინდელ ტურში მედიცინის მუშაკები კვლავ არ ჩანდნენ. ორგანიზატორები, შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები, მაყურებლები მთელი 40 წუთი ელოდნენ, ვიდრე დარბაზში ექიმი გამოჩნდებოდა, შეჯიბრება ლამის ჩაიშალა.

რატომ ეკიდებიან უგულოსუყოდ მედიცინის მუშაკები თავიანთ მოვალეობას? პასუხს ამ კითხვაზე ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოდან მოველით.

საქართველოს თასის გათამაშება და ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში

თბილისში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება და ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. სურათებზე თქვენ ხედავთ ამ ასპარეზობის ჩემპიონებს. ზედა რიგში (მარცხნიდან): ამირან ბერიანძე; ხვიჩა გაბიანი; ლევან სისაური; ლია ხოზაურაშვილი. ქვევით (მარცხნიდან): ლალი ქოჩიშვილი, სტელა დავიდოვა, მაია გიორგაძე. (იხ. მე-3 გვ.).

ფედერაციის პლენუმი

გაიმართა საქართველოს საიალქნო სპორტის ფედერაციის პლენუმი.

პლენუმმა იმსჯელა საქართველოში აფროსნობის მდგომარეობის შესახებ, დასახა კონკრეტული ღონისძიებები ამ სახეობის შემდგომი განვითარებისათვის.

საიალქნო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი ე. კანდელაკი. გადახალისდა პრეზიდიუმის შემადგენლობა.

ბიბლიოთეკა

მიმდინარეობს რაიონული და საქალაქო კონფერენციები

კადრებს ახალი ამოცანები დაუსახეს

ჩვენს რესპუბლიკაში გრძელდება პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული და საქალაქო საბჭოს კონფერენციები. ამ დღეებში კონფერენციები ჩატარდა თბილისის პირველი მაისის, კალინინის, კიროვის, 26 კომისრის, ოქტომბრისა და საბურთალოს რაიონებში.

საზოგადოების რაიონული რგოლის შემადგენლობაში აირჩიეს ინიციატივიანი მუშაკები, რომლებსაც შესწევთ უნარი უფრო ფართოდ ჩააბან მოსახლეობა ფიზკულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, ხელი შეუწყონ სპორტსმენთა ოსტატობის ზრდის ამაღლებას. ამჟამად საზოგადოების თბილისის ორგანიზაციებში მუშაობს 161 ინსტრუქტორ-მეთოდისტი. ეს დიდი ძალაა, აქტივთან ერთად მათი მიზანმიმართული საქმიანობით, როგორც კონფერენციებზე აღინიშნა, მოსახლეობის საკეთილდღეოდ ბევრი პრობლემის გადაჭრა შეიძლება.

გახმაურებული ამბის ეჭო — მოინანიებს წერილი

მოინანიეს?—პატიებას იმსახურებენ

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციას

რა შეიძლება იყოს ყველაზე ძნელი და გულდასაწყვეტი ჯან-ღონითა და ენერგიით აღსავსე, ამავე დროს, ახალგაზრდა ადამიანისთვის? ალბათ, ის, თუ მას ჩამოაშორებენ საყვარელ საქმეს, რომელსაც არაერთი წელი შეალია და ურომლისოდაც მას ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

ამგვარი რამ დაგვემართა ჩვენ. „სოვეტსკი სპორტის“ მკითხველებს ალბათ ახსოვთ ის წერილები, რომლებიც ამა წლის 23 და 25 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთში. მათში მოთხრობილია თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტთა მიერ ჩადენილი უღირსი საქციელი კრასნოიარსკ-მოსკოვის რეისის თვითმფრინავში. „სოვეტსკი სპორტის“ პუბლიკაცია გადაბეჭდა ქართულმა რესპუბლიკურმა სპორტულმა გაზეთმა „ლელომ“, ყველაფერი, რაც კი მაშინ მოხდა, საჯაროდ ამცნო ხალხს საქართველოს ტელევიზიამაც. ერთი სიტყვით, თვითმფრინავში მომხდარი ინციდენტი მთელი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის სამსჯავროდ იქცა.

ჩვენ უმკაცრესი სასჯელი გამოგვიტანეს: საქართველოს სსრ სპორტსახკომის კოლეგიის დადგენილებით გუნდის 24 ძირითად მოთამაშეს მწვრთნელებთან ერთად დისკვალიფიკაცია მისცეს.

მას შემდეგ ნახევარმა წელმა განვლო. თითოეული ჩვენგანისთვის ეს თვეები გრძელი და მტანჯველი გახდა, მაგრამ მთელი ამ დროის მანძილზე გულში იმედის ნაპერწკალიც ღვიოდა, რომ ოდესმე მაინც შეგვეძლებოდა რეგბის მინდორზე გამოსვლა, ალბათ, სწორადაა ნათქვამი, რომ იმედი ყველაზე ბოლოს კვდება. იმის იმედითაც ვცხოვრობდით, რომ საწვრთნელი ბაზა, რომელიც თვითმფრინავში მომხდარი ინციდენტის რამდენიმე ხნით ადრე მივიღეთ, ადრე თუ გვიან კვლავ ჩვენს შობლიურ სახლად იქცეოდა, ამგვარ საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე ხომ ამაოდ ოცნებობდნენ საქართველოს რეგბისტთა თაობები.

ამავე დროს ისიც ჩინებულად გვქონდა შეგნებული და ახლაც კარგად ვიცით, რომ საზოგადოებრიობის წინაშე გაგვამართლებდა მხოლოდ და მხოლოდ საქმე, მხოლოდ საბჭოთა მოქალაქის ღირსი საქციელი. სწორედ ამიტომაც მტკიცედ გადავწყვიტეთ არ დავშორებოდით ერთმანეთს, ერთად ვყოფილიყავით და საზოგადოებრიობისთვისაც სასარგებლო რამ გაგვეკეთებინა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საგზურებით გავემგზავრეთ ბავშვთა პოლიკლინიკისა და თბილისის ცენტრალური სარკინიგზო ვაგზლის მშენებლობაზე. ჩვენი მუშაობა ამ მშენებლობებზე დადებითად შეაფასეს.

ვშრომობდით, ვსწავლობდით და წვრთნასაც განვაგრძობდით, სპორტულ ფორმას ვინარჩუნებდით, ამხანაგურ შეხვედრებს ვმართავდით რესპუბლიკის სხვა გუნდებთან, სპორტული ოსტატობის სრულყოფაში ვეხმარებოდით ახალგაზრდა რეგბისტებს.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: ღრმად შევიგნეთ ჩვენი შეცდომა, თითოეულმა ჩვენგანმა საჭირო დასკვნები გამოიტანა, ამასთან ერთად ისიც მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ მომავალშიც, თუ კი საამისო შესაძლებლობა მოგვეცემოდა, ღირსეულად დაგვეცვა საბჭოთა სპორტული ახალგაზრდობის სახელი და ჩვენი საქციელი, რეგბის მინდორზე თუ მის ფარგლებს გარეთ, სამაგალითოდ გვექცია.

თბილისის „ლოკომოტივის“ ოსტატთა ყოფილი გუნდის რეგბისტები.

„სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ ეს წერილი გააცნო სსრ კავშირის რეგბის ფედერაციის თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის გმირს, ავიაციის გენერალ-მაიორს ვლადიმერ ხერგეის ძე ილიუშინს. აი, მისი შეხედულება ამ წერილის თაობაზე:

პატიება — ეს გაგებას ნიშნავს

რეგბი — სპორტის განსაკუთრებული სახეობაა და, როგორც მუდამ ვფიქრობდი, მასში მთავარი ისაა, რომ ეს თამაში მხოლოდ ნამდვილი ჯენტლმენების საქმეა. წინაადმდეგ შემთხვევაში ეს უკვე რეგბი აღარ იქნება. ეს თამაში რაინდული სულითაა გამსჭვალული. მე მხედველობაში მაქვს არა მარტოოდენ ის, რაც მინდორზე ხდება, არამედ, პირველ ყოვლისა, ყველაფერი ის, რაც კი ადამიანს რეგბისტად აქცევს: წესრიგიანობა, კეთილშობილება, სულითა და სხეულით ძლიერი მამაკაცის სიკეთე და კიდევ ბევრი, ბევრი სხვა რამ. მით უფრო საწყენი იყო ჩემთვის, როცა შევიტყვე თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტთა ინციდენტი „სოვეტსკი სპორტში“ რომ იყო აღწერილი.

დიდი გახლდათ წყენა და უკმაყოფილება, ასევე დიდი იყო სასჯელიც. სხვა ადამიანები, ალბათ, შედრკებოდნენ, ხელსაც ყველაფერზე ჩაიქნევდნენ, მაგრამ ნამდვილი რეგბისტები არ...

და, აი, მთელმა გუნდმა, როგორც ერთმა, გადაწყვიტა ალალი შრომით და სანიმუშო საქციელით მოესყიდა თავისი დანაშაული, თუმცა, იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, ყველანი როდი იყვნენ დამნაშავენი.

თუ როგორ ცხოვრობდნენ ეს ადამიანები მთელი ამ ხნის განმავლობაში, თქვენ მათი წერილიდან შეიტყვეთ. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, მათ ყურადღებით ვაკვირდებოდით და ყოველდღიურად ვრწმუნდებოდით, რომ ესენი ნამდვილი მამაკაცები არიან.

დარწმუნებული ვარ, თუ საქართველოს სპორტსახკომი შეარბილებს სასჯელის ზომას, შეცვლის მას, ვთქვათ, პირობითი დისკვალიფიკაციით, ეს შეცდომა არ იქნება.

ახლა კი დავუცადოთ ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებას.

„სოვეტსკი სპორტი“, 26 დეკემბერი, 1987 წ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ!

ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲖᲔ

55 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲘᲐᲠᲔᲡ ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲥᲔᲓᲘ

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ მამულიშვილის გიორგი ნიკოლაძის მრავალფეროვანი მოღვაწეობის ერთ-ერთი დიდად მნიშვნელოვანი ფურცელია მისი დამსახურება სპორტში. ცნობილია, რომ გიორგი ნიკოლაძე ითვლება საქართველოში სპორტული ტანვარჯიშის, ტურიზმის, ალპინიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მასვე ეკუთვნის ჩვენს რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის მასობრივი განვითარების იდეაც.

... ძველად საქართველოს მთიანეთში მონადირენი ხმარობდნენ ე. წ. საბიჯელ თხილამურებს, თოვლზე სასრიალო თხილამურებს კი ჩვენში არავინ იცნობდა.

1929 წლის გაზაფხულზე პროფესორმა გიორგი ნიკოლაძემ თავისი მოწაფეების მცირე ჯგუფით ფეხით იმოგზაურა ბაკურიანიდან ბორჯომამდე მომავალი სათხილამურო ტრასების მარშრუტის შესარჩევად. პარალელურად ბატონ გიორგის აინტერესებდა ბაკურიანში სათხილამურო ბაზის შექმნისა და საჭირო ინვენტარის შეძენის საკითხიც.

1930 წლიდან სათხილამურო სპორტმა თანდათან განვითარება იწყო ბაკურიანში. გიორგი ნიკოლაძის მოწაფეები ხშირად აწყობდნენ ორდღიან ლაშქრობას თბილისიდან ბაკურიანში, სადაც რთულ პირობებში ცდილობდნენ ღაუფლებოდნენ თხილამურებით სიარულს. ისინი ფიზიკურად კარგად მომზადებული სპორტსმენები იყვნენ — ძირითადად ტანმოვარჯიშენი, მთამსვლელები, ტურისტები: გიტო გიორგიძე, შალვა მაყაშვილი, დიმიტრი მიქაბერიძე, ლიტუსი ჩხეიძე, ელიკო ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ტყავაძე, მარო ბექანიშვილი, დათა გელაძე, სანდრო გვალია, შოთა მიქელაძე, ჯანსუღ ფურცელაძე, გოგი ბაქრაძე, თინა ხოსიტაშვილი, ტატიანა ბილბენი, ვიქტორ მალოვიჩკო, დევი მიქელაძე, ციალა გაბაშვილი, მარიამ სულხანიშვილი, ლიალია ცეხანოვსკაია, ნინო მაღალაშვილი, სონია სტრავინსკაია და სხვანი. სათხილამურო სპორტმა გაიტაცა ბაკურიანისა და ბორჯომის ხეობის ახალგაზრდობა.

1931 წელს ბაკურიანში (ბოტანიკურ ბაღში) გ. ნიკოლაძის სახელობის სათხილამურო ბაზა დაარსდა. სწორედ აქ შეიძლებოდა მცირე რაოდენობით მაინც, თითქმის გამოუსადეგარი, ბანდით დამაგრებული თხილამურების შოვნა. სათხილამურო ბაზაზე ინსტრუქტორებად მუშაობდნენ შ. მაყაშვილი, გ. ბაქრაძე და სხვები. მალე ბაკურიანში დაიწყო სათხილამურო სპორტის მართლაც მასობრივი განვითარება: თბილისიდან მოემგზავრებოდნენ სხვადასხვა დაწესებულების კოლექტივები, მოსწავლე ახალგაზრდობა, ტურისტული ჯგუფები. ბაკურიანს სათხილამუროდ ეწვივნენ მწერლებიც — კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი ბელიაშვილი, მიქელ პატარაძე, პროფესორ-ისტორიკოსი მიხეილ პოლიექტოვი (შვილით ნიკათი), მთამსვლელები სოსო ჟსლანიშვილი, კაკო შარი, შოთა და დევი მიქელაძეები და სათხილამურო სპორტის ბევრი სხვა მოყვარული.



1932 წლის დამდეგს გიტო გიორგიძის წინადადებით, გადაწყდა სათხილამურო გადასვლის მოწყობა კავკასიონის მთავარ ქედზე. უნდა ითქვას, რომ ამ გაბედულ წინადადებას არ ჰყავდა ბევრი მომხრე — თხილამურებით კავკასიონზე გადასვლას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. მიუხედავად ამისა, 1932 წლის 28 თებერვალს სპორტსმენთა ჯგუფი რვა კაცის შემადგენლობით კავკასიონისკენ გაემგზავრა.

ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ: გიტო გიორგიძე (ხელმძღვანელი), სანდრო გვალია, ვალენტინ იარიშევი, ვიქტორ მალოვიჩკო, შალვა მაყაშვილი, ჯანსუღ ფურცელაძე, თინა ხოსიტაშვილი, მარო სულხანიშვილი.

სათხილამურო გადასვლის სვლაგეზი ასეთი იყო: თბილისი —ფასანაური—ბურსარჭირის უღელტეხილი (გუდამაყრის ხეობით) —სნოს ხეობა — ყაზბეგი — თრუსოს ხეობა — ურუსთვალ-ტევციკის უღელტეხილი — კატლასანის ხეობა—როკის უღელტეხილი—ცხინვალი —თბილისი.

ეს იყო პირველი სათხილამურო გადასვლა მაღალმთიან პირობებში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებას საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში სათხილამურო სპორტი ვითარდებოდა სწორედ ხანგრძლივი გადასვლების ვზით.

კავკასიონზე ლაშქრობის მიზანი, გარდა წმინდა სპორტული მხარისა, მთის მოსახლეობაში სათხილამურო სპორტის საუკეთესო პროპაგანდაც იყო.

ფასანაურში ჩასვლისთანავე დავრწმუნდით, რომ წინ ბევრი სიძნელე გველოდა. იმ წელს ძალზე მკაცრი ზამთარი იყო, დიდთოვლიანობა, ფასანაურელები გვირჩევდნენ, ხელი აგველო ჩვენს განზრახვაზე, განსაკუთრებით დაუშვებლად მიაჩნდათ ქალების წაყვანა, მაგრამ უკან არ დავიხიეთ. ფასანაურიდან ულამაზესი გუდამაყრის ხეობით გავემართეთ ბურსარჭირისკენ. შებინდებისას მივადექით სოფელ ბურსარჭირს. უკვე პირველსავე დღეს დავრწმუნდით, რომ მართლაც ძნელ საქმეს მოვკიდეთ ხელი, სველი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ძლიერ გვიძნელებდა სიარულს, მაგრამ ვინ აქცევდა ამას ყურადღებას, ჩვენს ირგვლივ ისეთი აუწერელი სილამაზე იყო, რომ ყოველგვარ გასაჭირს ვურიგდებოდით. ზვავებით დატვირთული, მზის შუქზე თეთრად მოელვარე მთები, თოვლით დაბურული ტყე, სრულიად გაუკვალავი თოვლიანი მიდამო და ირგვლივ გამეფებული მდუმარება... ის ღამე ბურსარჭირში ერთ-ერთი გლეხის გომურში... ძროხებთან ერთად გავათიეთ. მეორე დღეს გათენებისას უკვე ადვილად შესამჩნევი გახდა ჩვენს წინ დაყუდებული მთა — ბურსარჭირის უღელტეხილი (2384 მეტრი ზღვის დონიდან). მასზე სიარული ძალიან გაგვიჭირდა, გაყინულ თოვლზე ფეხი სრიალებდა, მაგრამ ავედით თუ არა უღელტეხილზე, ჩვენს წინ გადაშლილმა კავკასიონის აუწერელმა სილამაზემ და მედიდურობამ დაგვავიწყა განვლილი სიძნელეები, წინ კი ისევ დაუსრულებელი გზა გველოდა. დაგვიღამდა, გაავდრდა. როგორც იქნა, გაყინულები ჩამოვედით სნოს ხეობაში. სოფელ კარკუჩაში გვიმასპინძლა ერთმა დიასახლისმა. გავთბით. სნოს ხეობით ჩამოვედით ყაზბეგში, იქ ადგილობრივ კლუბში გიტო გიორგიძემ უამბო შეკრებილთ ჩვენი „მოგზაურობის“ შესახებ. ვფიქრობთ, სათხილამურო სპორტის კარგი პროპაგანდა გამოგვივიდა. ყაზბეგელები თბილად შეგვხვდნენ. მალე განვაგრძეთ გზა თრუსოს ხეობით. აქედან ურუსთვალ-ტევციკით (სიმაღლე 3434 მ) უნდა გადავსულიყავით სამხრეთ ოსეთში, რომლითაც ზაფხულშიც კი იშვიათად სარგებლობს მოსახლეობა.

ეს გზა მართლაც გრძელი და რთული აღმოჩნდა, თოვლი საკმაოდ ღრმა იყო, ძალზე ყინავდა. გადასავალზე ღამე ავედით, იმედი გვქონდა, რომ გზაში კატლასანის ხეობაში მწყემსების ნაბინავარი შეგვხვდებოდა, მაგრამ ადამიანის სადგომი არსად ჩანდა. ზოგიერთებს მაინც გვეჩვენებოდა სახლები, ძაღლების ყეფა, სინათლე, მაგრამ ეს, ცხადია, მირაჟი იყო. ერთ ჩვენგანს თხილამური გაუსრიალდა ხევში — სიარული შეუძლებელი გახდა. სიბნელეში გზას ვერ ვიკვლევდით, ბოლოს იძულებული გავხდით გავჩერებულიყავით. ზურგჩანთებზე ჩამოვსხედით, უცებ ყმუილი შემოგვესმა და მალე მგლების ხროვაც მოგვიახლოვდა. სასწრაფოდ ცეცხლი წავუკიდეთ ქაღალდს, მერე ისე საჭირო მალის წინდებიც არ დავიშურეთ... ცეცხლის დანახვაზე მგლებმა ზურგი შემოგვაქციეს. ერთ უბედურებას გადავრჩით, მაგრამ წინ თურმე მეორე გველოდა. იმ ღამეს ბევრ ჩვენგანს ფეხის თითები მოეყინა. როგორც იქნა, გათენდა. კვლავ გზას გავუდექით. დიდი ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ სოფელ ედისს. აქ ბესტაევების ოჯახმა შეგვიხიზნა, მოყინულ ფეხებს მივუვარეთ, დავისვენეთ. ორი დღის შემდეგ მადლიერნი გამოვეთხოვეთ მასპინძლებს და გზას გავუდექით — როკის უღელტეხილით ჩავედით სამხრეთ ოსეთში.



ჩრდილოეთ ოსეთის მკაცრი და პირქუში ბუნების შემდეგ აქ ყველაფერი კეკლუცად გამოიყურებოდა, თოვლსაც უკვე ალაგ-ალაგ დაჰკარგვოდა სიმკვრივე. მაინც ძლივს მივდიოდით—მხარზე გადებული თხილამურები ორფუთიან ვირებად გვეჩვენებოდა. დაღლილ-დაქანცულნი, ყინვისაგან გათეთრებული, მშიერ-მწყურვალნი ჩამოვედით ცხინვალში. აქ ჩვენი მეგობრის დათა გელაძის ოჯახში შესანიშნავი მასპინძლობა გველოდა.

... დამთავრდა ხიფათითა და განცდებით აღსავსე ათდღიანი ლაშქრობა, რომელიც დაუვიწყარ, ლამაზ მოგონებად იქცა.

კავკასიონის მთავარ ქედზე თხილამურებით გადასვლის მონაწილეთაგან დღეს მხოლოდ ორნი ვართ ცოცხალი. გვეამაყება, რომ ჩვენი მოკრძალებული სპორტული მიღწევით ხელი შევუწყეთ ჩვენი საყვარელი მასწავლებლის გიორგი ნიკოლაძის იდეის ხორცშესხმას— საქართველოში სათხილამურო სპორტის მასობრიობის განვითარებას.

ქართული სპორტის ვეტერანები, 1932 წლის ლაშქრობის მონაწილენი —

მარიამ სულხანიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ექიმი,

შალვა მაყაშვილი,
საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

• • •

სურათებზე: გადასვლის მონაწილეებს ხშირად ისეთი ნისლბურუსი ეღობებოდათ წინ, რომ გზის გაგრძელება შეუძლებელი ხდებოდა. ეს ფოტოსურათი, რომელიც გადასვლის მონაწილეს ვიქტორ მალოვიჩკოს ეკუთვნის, სწორედ ასეთ პირობებშია გადაღებული ბურსარჭირის უღელტეხილზე იძულებული შესვენების დროს; ნახატები კი ექსპედიციის მონაწილეს შალვა მაყაშვილს ეკუთვნის — ედისიდან ჯავამდე — და სათხილამურო ბუმი თბილისში კავკასიონზე 1932 წლის სათხილამურო გადასვლის შემდეგ.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲤᲔᲠᲘᲚᲖᲔ

ᲖᲣᲠᲜᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ჰიდაობა ჩვენი მამა-პაპათათვის მუდამ გაზაფხულის უტყუარი მახარობელი იყო. სოფლად თუ ქალაქად ხალხი მოუთმენლად ელოდა საჰიდაოს ვაჟკაცურ ხმებს, რომ მერე თავიანთი საყვარელი ფალავნის გამოსვლა ენახათ. რა დიდებული სანახაობა იყო, რა დაუვიწყარი დღეები.

მე 75 წელს გადაცილებული კაცი ვარ, მაგრამ ქართული საჰიდაოს მაშინდელი ჰანგები ახლაც ყურში მესმის. სანამ სამამულო ომში წავიდოდი ერთგულად ვემსახურებოდი ქართულ ჩოხასა და სარბიელს, ვიყავი წრის ჩელმძღვანელიც, მოჭიდავეც, ახალგაზრდების მასწავლებელიც. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩოხებსაც კი ვკერავდი. საყვარელი საქმისთვის არც ომის მერე მიღალატნია. არც ახლა ვღალატობ თუმცა ჯანი აღარ მომდევს,

სამაგიეროდ კარგად ვიხედები და გული მწყდება, რომ ქართულმა ჰიდაობამ ძველებური შნო და ლაზათ დაკარგა. დღეს რომ ტრადიციის აღორძინებაზე მიდგა საქმე, ძლიერ კარგია. ქართულ ჰიდაობას მუდამ ჰყავდა და უნდა ჰყავდეს კიდეც ქომაგები. ოღონდ მას სანახაობრივი მხარეც უნდა დავუბრუნოთ.

ჩვენს დროს ფალავნები უამრავ ილეთებს ხმარობდნენ. გაქცეული კისრული გინდაო, შუაფეხი, გრძელი და მოკლე მოგვერდები, ათასგვარი ბრუნები, გარე ფეხი, შუასარმა. ერთი სიტყვით, მორკინლუბს წამით არ ჰქონდათ მოსვენება, ოფლად იღვრებოდნენ, რომ ერთი ლამაზი ილეთი, მეორისთვის შეენაცვლებინათ.

დღეს ზოგიერთი მოჭიდავე სარბიელზე რომ გამოვა, თავი მეტოქის მკერდზე აქვს მიბჯენილი, ტანი კი ერთ-ორ მეტრზე უკან გადგმული. თუ როგორღაც ქულა აიღო, მერე მოწინააღმდეგეს აღარ გაეკარება. ერთთავად ამ ქულის შენარჩუნებას ცდილობს. ეგ რა ჰიდაობაა? ასეთ საქციელს რომელი მაყურებელი აღარაფერს ვამბობ ჰიდაობის მცოდნეზე, მოგიწონებთ?

ახლა მსაჯობაზეც. ძველად ამ საქმეს ჰიდაობის ნაღდი ოსტატები ხელმძღვანელობდნენ, გულმართალი და სამართლიანი ხალხი. შუამავალ მსაჯს, როგორც წესი, ბრძოლა მიჰყავდა, გვერდით მსაჯები კი მას ეხმარებოდნენ. დღეს, სამწუხაროდ, მსაჯად ისეთ კაცსაც ნახავთ, არასდროს, რომ არ უჭიდავია, ქამარი და ჩოხა რაა, ისიც არ მოურგია მოჭიდავისთვის.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ქართული ჰიდაობა ნამდვილ სახალხო ზეიმად უნდა გადავაქციოთ, ოღონდ ისეთ ზეიმად, რომელსაც ამ საქმის მოყვარული ხალხი მოემსახურება. ვიცი, დღეს ბევრრამ კეთდება ძველი ტრადიციების აღსადგენად. ამ ენთუზიასტებს ყველანი ზნარში უნდა ამოვუდგეთ ჩემი ხნისანიც, და ჩემზე ახალგაზრდებიც. მაშინ გაცილებით მეტნი მოვლენ საყურებლად სარბიელზე და ჰიდაობაც უფრო ლაზათიანი და ლამაზი იქნება.

ᲙᲣᲚᲐ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ომისა და შრომის ვეტერანი.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲨᲘ გაიმართა სარაიონო თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალურ მატჩში ერთმანეთს ზუმის „საქართველოს“ სახელობისა და „ლეწურწუმის“ კოლმეურნეობის გუნდები შეხვდნენ. გაიმარჯვეს ზუმელებმა — 2:1.

ამ გამარჯვებით ზუმელები 1937 წლის სარაიონო თასის მფლობელები გახდნენ.

ᲡᲝᲡᲝ ᲯᲐᲚᲐᲚᲐᲜᲘᲐ.

• • •

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ რაიონის 12 ფიზკულტურული კოლექტივის ფეხბურთელთა გუნდები მონაწილეობდნენ საინტერესო შეჯიბრებაში.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ველოსიპედისტისა და საკონსერვო ქარხნის წარმომადგენლები, წარმატება წილად ხვდათ ველოსიპედისტ ფეხბურთელებს.

ᲒᲘᲕᲘ ᲩᲘᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს თასის გათამაშება და ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში

მომავალი შეჯიბრებების პროგრამით

დეკემბერი ის თვეა, როდესაც ნებისმიერ სფეროში ჯამდება წლის მანძილზე გაწეული მუშაობის დონე და ხარისხი. ამ კუთხიდან თუ შევხედავთ სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს თასის გათამაშებასა და ჩემპიონატს ცალკეულ იარაღებზე, ბევრ ნაკლოვანებას აღმოვაჩენთ, შეჯიბრებაზე იმდენი სერიოზული შეცდომა მოუვიდათ სპორტსმენებს, ერთს კი არა, რამდენიმე ასპარეზობასაც თავს გადაუვიდოდა. ხარვეზები განსაკუთრებით თვალში საცემი იყო იარაღებზე ვარჯიშის დროს. ამიტომ ქალთა შეჯიბრების შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ მსოფლიო ჩემპიონს, საქართველოს ნაკრების მწვრთნელს რუსუდან სიხარულიძეს, ხოლო ვაჟთა ასპარეზობის კომენტირება—მსოფლიო თასის მფლობელს პაატა შამუგიას. მათს მოსაზრებას უფრო ქვემოთ შემოგთავაზებთ, მანამდე კი შეჯიბრების მთავარ მომენტებს შევეხებით.

ასპარეზობაში მონაწილეობა მხოლოდ მიწვევით შეიძლებოდა და ამიტომ სარბიელზე ყველა რეგიონის წარმომადგენლები ვერ გამოვიდნენ. ორგანიზატორებმა შეჯიბრების ხარისხს მიაქციეს ყურადღება და არა მონაწილეთა რაოდენობას. აქცენტი გადატანილი იყო იმ სპორტსმენების მომზადებაზე, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მომავალ პირველობაში (უფროსები) და ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებში (უმცროსი ასაკი) მოუხდებათ გამოსვლა.

ასპარეზობაში ძირითადად თბილისელები მონაწილეობდნენ. მათთან ერთად სარბიელზე გამოვიდა მხოლოდ ორი ქუთაისელი, ერთი ზუგდიდელი და ერთი ბათუმელი სპორტსმენი, თუმცა ამჟამად ისინიც თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს ტანვარჯიშულ სპორტკომპლექსში ვარჯიშობენ.

ბრძოლაში სულ 33 ვაჟი და 27 ქალი ჩაება. მონაწილეთა შორის ვერ ვიხილეთ ლიდერები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვლადიმერ გოგოლაძე და ეკა ზეთურიძე. გოგოლაძე მოსკოვშია შეკრებაზე საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად, ხოლო ზეთურიძის მწვრთნელმა საჭიროდ არ ჩათვალა თავისი შეგირდის ასეთი რანგის შეჯიბრებაში გამოსვლა (?!). მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ყველა მონაწილემ თავისი რანგის შესაფერისი ადგილი დაიკავა. აბსოლუტური ჩემპიონობა ღირსეულად მოიპოვა ამირან ბერიანიძემ, ხოლო ქალებში გამარჯვება ლია ხუზარაუშვილმა დაისაკუთრა. აღსანიშნავია, რომ ასპარეზობის მონაწილე ყველა გოგონა სკოლის მოსწავლე იყო.

ამ შეჯიბრებამ თავი კიდევ იმით დაგვამახსოვრა, რომ ვლადიმერ მალვინის აღზრდილმა სტელა დავიდოვამ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ტანმოვარჯიშეთაგან პირველმა შეასრულა სამმაგი მალაყი.

ახლა კი სპეციალისტების აზრი მოვისმინოთ.

რუსდან სიხარულიძე: — ამდენი შეცდომა იმით არის გამოწვეული, რომ ყველა თანრიგში საგრძნობლად გართულდა ვარჯიშები. ამიტომ გვინდოდა შეჯიბრება მხოლოდ ნებისმიერი პროგრამით ჩაგვეტარებინა. ეს სპორტსმენებს საშუალებას მისცემდა, დაეხვეწათ ახალი პროგრამა. მაგრამ იმის გამო, რომ სპორტის ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად სავალდებულო პროგრამით გამოსვლაც სავალდებულოა, თავდაპირველ ვარიანტზე უარი ვთქვით. რაც შეეხება თვითონ ასპარეზობას, ქალთა შეჯიბრებამ უაღრესად დაძაბულად და საინტერესოდ ჩაიარა. ასეთი ბრძოლა ბოლო ორი წელია არ მახსოვს. საყურადღებოა, რომ უმცროსი ასაკის ტანმოვარჯიშეებს შორის გამოჩნდნენ ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენები. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ლია აბდუაშვილი და სოფიკო მანაგაძე. შედარებით სუსტად გამოდიან პირველთანრიგოსანი გოგონები. როგორც ჩანს, უჭირთ დღევანდელი რთული პროგრამის დაძლევა. რატომ არ გამოვიდნენ ოსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლები? საქმე ისაა, რომ სავარჯიშო პირობები არა აქვთ, თუმცა ცხინვალში ამ მხრივ საქმე გამოსწორების გზაზეა. მათ ახლახან შესაფერისი დარბაზიც გამოუყვეს.

პაატა შამუგია: — მას შემდეგ, როცა მე გამოვდიოდი სარბიელზე, პროგრამა თითქმის ორჯერაა გართულებული, თუმცა უწინდელი ელემენტების ნაწილს სპორტსმენები ისევ ასრულებენ. რა შეიძლება ითქვას ჩვენი ბიჭების გამოსვლაზე? შეჯიბრებას ნამდვილად დაამშვენებდა ვლადიმერ გოგოლაძე. იგი ბევრად მაღლა დგას ჩვენს სხვა ტანმოვარჯიშეებზე. პერსპექტიულ სპორტსმენად მიმაჩნია ემზარ ფუნთუშაშვილი, თუმცა მან წარმატების მისაღწევად თავი არ უნდა დაზოგოს. რაც შეეხება დღევანდელი შეჯიბრების ლიდერებს ბერიანიძეს და სისაურს, მათ ძირითადად დაძლეული აქვთ ახალი პროგრამა. ახლა მთავარია გულმოდგინედ დახვეწონ და სტაბილური გახადონ იგი.

ქვარცხლბეკი

თასის გათამაშება. სპორტის ოსტატობის პროგრამა. ვაჟები. ა. ბერიანიძე — 112,2, ლ. სისაური— 111,05, ე. ფუნთუშაშვილი—107,3.

სპორტის ოსტატობის კანდიდატობის პროგრამა. ნ. ბარამიძე — 106,75, ვ. ოგანეზოვი — 106,15, ზ. ყალიჩავა.

I თანრიგის პროგრამა. ლ. სეხნაშვილი — 102, გ. სურმანიძე — 99,75, ლ. ბერაძე — 96,8.

ქალები. სპორტის ოსტატობის პროგრამა. ლ. ხუზაურაშვილი — 72,95, ნ. ქაროველიშვილი — 72,85, ხ. პაპინაშვილი — 72,15.

სპორტის ოსტატობის კანდიდატობის პროგრამა. ლ. აბდუშელიშვილი — 72, ქ. ონიკაური — 70,0, ს. მანაგაძე —70,0.

I თანრიგის პროგრამა. თ. ლომიძე — 66,85, თ. თოდაძე —65,55, ლ. გვასალია — 63,4.

ჩემპიონები ცალკეულ იარაღებზე: ვაჟები. ორძელი. სისაური— 19,0, ბერიანიძე — 18,15, ფუნთუშაშვილი — 17,6; ღერძი. სისაური — 18,7, ფუნთუშაშვილი — 18,35, მ. ფილაური — 18,0; თავისუფალი ვარჯიში. ხ. გაბიევი — 17,9, ბერიანიძე — 17,85, ვ. სადღობელაშვილი — 17,45; ტაიჭი. სისაური — 18,8, ბერიანიძე — 18,15, ფუნთუშაშვილი — 17,85; რგოლები. ბერიანიძე — 18,6, გაბიევი — 18,55, ფუნთუშაშვილი — 17,9; ხტომები. ბერიანიძე — 18,0, სისაური — 17,97, დ. ქვარცხავა — 17,6.

ქალები. ხტომები. ხუზაურაშვილი — 18,6 პაპინაშვილი — 18,45, ს. დავიდოვა — 18,015; ორძელი. ლ. ქოჩიშვილი — 18,5, დავიდოვა — 18,25, ქართველიშვილი — 17,6; ღვირი. დავიდოვა — 18,0, ქართველიშვილი — 17,7. დავიდოვა — 17,2. თავისუფალი ვარჯიში — მ. გიორგაძე — 17,3, დავიდოვა — 16,0, პაპინაშვილი — 12,2; ღვირი. დავიდოვა — 18,0, ქართველიშვილი — 17,7. დავიდოვა — 17,2.

ურთიერთობები ფართოვდება

ბელგრადი. საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის სპორტული კონტაქტების შემდგომ გაფართოებას ისახავს მიზნად შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც ამ დღეებში ხელი მოაწერეს სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. რუსაკმა და იუგოსლავიის ფიზიკური კულტურის საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ვ. ვუიოჩმა.

ამ შეთანხმების საფუძველზე მომავალ წელს ბელგრადში გაიმართება [illegible] ჭადრაკში [illegible] ა. კარპოვსა და იუგოსლავიელ დიდოსტატ ლ. ლუბოევიჩს შორის. დიდი ადგილი დაუთმობა სპორტული კოლექტივებისა და მწვრთნელთა გაცვლის პრაქტიკასაც.

პეკინი. ანალოგიური შეთანხმება იქნა ხელმოწერილი საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სპორტული თანამშრომლობის თაობაზეც.

ევროპის საკლუბო ტურნირებზე

გრძელდება ევროპის საკლუბო ტურნირები კალათბურთში ვაუთა გუნდებს შორის.

ჩემპიონთა თასი. გაიმართა მეოთხე ტურის შეხვედრები: „ნაშუა“ (ჰოლანდია) — „ორტეზი“ (საფრანგეთი) 96:87, „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია) 84:88, „მაკაბი“ (ისრაელი) — „ტრეისერი“ (იტალია) 93:99, „არისი“ (საბერძნეთი) — „სატურნი“ (კიოლნი) 107:101.

სამ გუნდს — „არისს“, „პარტიზანსა“ და „ტრეისერს“ 7-7 ქულა აქვთ. მეორე სამეულს — „სატურნს“, „ნაშუასა“ და „მაკაბის“ — 6-6, „ორტეზი“ 5 ქულით ჯერჯერობით მეშვიდე ადგილზეა. „ბარსელონა“ კი (4 ქულა) —მერვეზე.

კოკარაჩის თასი. აქ ჩატარდა მეოთხედფინალური ტურნირის მესამე ტურის მატჩები.

პირველი ჯგუფი: ესპანეთის „რეალს“ 6 ქულა აქვს, „დიეტორს“ (იტალია) — 5, „მონაკოს“ (საფრანგეთი) — 4, „ელიტცურს“ (ისრაელი) — 3.

მეორე ჯგუფი: „ციბონა“ (იუგოსლავია) — 6, „რესინგი“ (საფრანგეთი) — 5, „მანჩესტერი“ (ინგლისი) — 4, „სნაიდერო“ (იტალია) — 3.

მესამე ჯგუფი: „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — 6, „ესტუდიანტესი“, (ესპანეთი) — 4, „ვილერბანი“ (საფრანგეთი) — 4, პაოკ-ი (საბერძნეთი) — 4.

მეოთხე ჯგუფი: „არეკსონსი“ (იტალია) — 5, „იუგოპლასტიკა“ (იუგოსლავია) — 5, „კაი სარაგოსა“ (ესპანეთი) — 4, „ჰაპოელი“ (ისრაელი) — 4.

მეორე დამარცხება შინ

თბილისში მიმდინარე პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა ვილნიუსის „ბანგასთან“ გამართეს. გამარჯვება ამჯერადაც სტუმრებს დარჩათ — 82:90 (36:47).

მატჩის ბედი ფაქტიურად პირველ ტაიმში გადაწყდა, რომელიც ვილნიუსელმა ნ. როლსკიტემ განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა, თბილისელებმა კი მისი უვნებელყოფა ვერაფრით ვერ შეძლეს. ამ კალათბურთელმა 20 წუთში თავის გუნდს 20 ქულა შესძინა, აქედან 18—სამქულიანი ტყორცნებით. ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი კი დ. ბელისკაიტე იყო — 25 ქულა. თბილისელთა შორის ზუსტი სროლებით ამჯერადაც ო. კორკოტაძე გამოირჩეოდა (22 ქულა).

ძლიერად ჩაატარა შეხვედრა ფრუნზეს „სტროიტელმა“ გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან ტარტუს უსკა-სთან და გაიმარჯვა 97:78 (50:35). ამ მატჩის საუკეთესო სნაიპერები იყვნენ: ა. შანავაზოვა („სტროიტელი“) — 28 ქულა და ა. სეპი (უსკა) — 17 ქულა.

ტატამზე მოპოვებული მედლები

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაზე ძიუდოისტ ქალთა შორის ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ თბილისელი სპორტსმენები ნანა ასრათაშვილი (48 კგ), მაია კაჩაშვილი (66) და ლელა ნებიერიძე. ისინი სპორტსაზოგადოება „დინამოს“ გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ, რომელმაც შეჯიბრებაზე მესამე ადგილი დაიკავა. საკავშირო თასისთვის ბრძოლაში, რომელსაც ბაქომ უმასპინძლა, 85 ძიუდოისტი ქალი მონაწილეობდა.

იოგა—ჯანმრთელობის სამსახურში

მოსამზადებელი ვარჯიშები

იდაყვი მუხლთან (სურ. 16)

მეთოდი: სწორად დადექით, ჩაისუნთქეთ, ასწიეთ მარჯვენა ფეხი, მოხარეთ და მარცხენა ხელის იდაყვი დაადეთ, ამოისუნთქეთ. იგივე გაიმეორეთ მარცხენა ფეხით და მარჯვენა ხელით.

ეფექტი. ეს ვარჯიში სასარგებლოა კუჭის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და ელენთისათვის.

ჩაცუცქვა (სურ. 17)

მეთოდი: საწყისი მდგომარეობა. ტერფები ოდნავ დააშორეთ ერთმანეთს, ჩაისუნთქეთ და ფეხის წვერებზე აიმართეთ, ზურგი გამართეთ, ეცადეთ ისე დაჯდეთ, რომ ქუსლებით იატაკს არ შეეხოთ, ხელები გაშალეთ წინ, იატაკის პარალელურად, ამოისუნთქეთ, ადგომის დროს ჩაისუნთქეთ. ფეხის წვერებზე დადექით, ამოსუნთქვისას ქუსლები დაჭიმეთ, დააბჯინეთ იატაკს. ვარჯიში 5-ჯერ გაიმეორეთ.

ეფექტი. ეს ვარჯიში სასარგებლოა წვივებისა და კოჭებისათვის.

ფონასწორობის ვარჯიში (სურ. 18).

მეთოდი: დაჯექით, მუხლები მოხარეთ, ხელის მტევნები მუხლის ქვეშ შეაერთეთ, ნელა ასწიეთ ფეხები, მუხლები გამართეთ, სანამ ფეხებს იატაკზე დაუშვებდეთ, დააყოვნეთ ამ პოზაში 4 წამი, მოდუნდით და დაისვენეთ.

ხერხემლისა და ფეხების ვარჯიში (სურ. 19).

მეთოდი: სწორად დადექით. შემდეგ დაიხარეთ და ხელის გულები იატაკზე დააბჯინეთ, ამ ვარჯიშისას ფეხები გამართული უნდა გქონდეთ, მარჯვენა ხელის დახმარებით გადადგით ერთი პატარა ნაბიჯი წინ, შეუნაცვლეთ მარცხენა ხელი. წინ გადმოდგით მარჯვენა ფეხი, შემდეგ მარცხენა. სულ უნდა გადადგათ ოთხი ნაბიჯი წინ და ოთხი ნაბიჯი უკან.

ეფექტი. ხანში შესული ადამიანები უჩივიან წონასწორობის დარღვევას, ამიტომაა, რომ ხშირად ეცემიან. ეს ასანა აღადგენს კოორდინაციას, განამტკიცებს თვითრწმენას.

წერო (სურ. 20)

მეთოდი: მარჯვენა ფეხზე დადექით, მარცხენა ტერფი შემოიდეთ მარჯვენა მუხლზე, ნელა ასწიეთ მარცხენა ტერფი და მიიტანეთ საზარდულის არესთან, ჩაისუნთქეთ. დაიცავით წონასწორობა, ამოისუნთქეთ და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, იგივე გაიმეორეთ მეორე ფეხით.

თვალების ვარჯიში (სურ. 21. ა, ბ, გ, დ, ე, ვ)

ვარჯიშები თვალის მამოძრავებელი კუნთებისათვის ჯერ კიდევ ძველად, იოგთა სისტემაში შედიოდა, რომლებიც თვალების ნაირგვარ მოძრაობაში გამოიხატებოდა. თვალების ვარჯიშების დროს ძლიერდება სისხლის მიმოქცევა მოცემულ არეში. შესაძლებელი ხდება გონებრივი დაღლილობისაგან განთავისუფლებაც. ამგვარ ვარჯიშთა შემდეგ თავს ბევრად უფრო მხნედ იგრძნობთ. გარდა ამისა, ასეთი ვარჯიშები ხელს უწყობს ზედა და ქვედა ქუთუთოების ე. წ. პარკებისაგან განთავისუფლებას (რაც როგორც



სურ. 21. ა, ბ, გ, დ, ე, ვ.

წესი, კანის სიბერისა და მისი მოქნილობის დაკარგვის ნიშანია).

აღნიშნული დადებითი ეფექტის მიზეზი იმ ფუნქციონალურ კავშირში ძევს, რომელიც არსებობს თვალის მამოძრავებელ ნერვსა და ტვინის სისხლძარღვების უჯრედებს შორის. შემოგთავაზებთ რამდენიმე ვარჯიშს, რომელთაც შეუძლიათ გააძლიერონ თვალის მამოძრავებელი კუნთები, მოენილობა შეუნარჩუნონ ქუთუთოების კანს, შეაჩერონ მისი დაბერება. ეს ვარჯიშები დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში უნდა შესრულდეს.

მეთოდი: ყურადღება მოიკრიბეთ წარბთაშუა სივრცეში და 10 წამი დაისვენეთ. შეხედეთ ცხვირის წვერს, ამ დგომარეობაში დაჰყავით 10 წამი და შემდეგ შეისვენეთ, აიხე-

სურ. 16



სურ. 17



სურ. 18



სურ. 19



სურ. 20

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 205, 210, 215, 220, 225, 229, 234, 239. 244.

ნაკ. მეორე

„დიდი მუზარადი“ ახალმოსახლეობით იწყებს

საქინფორმი — „ლელოს“



როი ემერსონი.

მარგარეტ კორტი.



როდ ლეივერი.

კენ როუზვოლი.

1988 წლის ჩოგბურთის საერთაშორისო სეზონი, ტრადიციისამებრ, „მწვანე კონტინენტზე“ დაიწყება. იანვრის შუა რიცხვებში სპორტის ამ სახეობის საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბებიან მელბურნში ავსტრალიის მორიგ ღია ჩემპიონატზე — იმ ოთხი ტურნირიდან ერთ-ერთზე, რომელიც შედის „დიდი მუზარადის“ ჩათვლაში. რიგით 76-ე ასპარეზობა პირველად გაიმართება მელბურნის „ფლინდერსის“ პარკში აგებული ჩოგბურთის ახალი ცენტრის მოედნებზე.

საინტერესოა, რომ ჩოგბურთის ყველა უდიდესი შეჯიბრება მკაცრად გარკვეულ დროს ტარდება. მაგალითად, საფრანგეთის ჩემპიონატი პარიზში ეწყობა მაისის თვეში, ამერიკის შეერთებული შტატებისა — ნიუ-იორკში, სექტემბრის დამდეგს, უიმბლდონის ტურნირი (ინგლისის ღია პირველობა) — ივნისის დამლევსა და ივლისის დამდეგს. ვადები შემთხვევით როდია შერჩეული: ამ თვეებში ამინდი განსაკუთრებით უწყობს ხელს ღია ცის ქვეშ თამაშს. გამონაკლისს არც ავსტრალიის ჩემპიონატი წარმოადგენს — იანვარში კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით ვიქტორიის შტატში, კლიმატი გამოირჩევა უმეტესი სტაბილურობით, ძალიან არ ცხელა.

მელბურნის გარეუბან კუიონგში 1905 წელს დასაბამი დაედო მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტურნირს. აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი და თარიღი დაკავშირებულია ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის დაბადებასთან, ამიტომ ტურნირი ერთიორად უფრო ძვირფასია ჩოგბურთის ყველა ადგილობრივი მოყვარულისათვის. 1972 წლიდან დაწყებული ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ყოველთვის მელბურნის გარეუბანში ეწყობა, რაც მის სახელოვან ტრადიციებსა და უდიდეს ავტორიტეტს მოწმობს.

სულ გაიმართა 75 ჩემპიონატი. ავსტრალიის პირველი ჩემპიონი იყო ვიქტორიის შტატის მკვიდრი როდ ჰეზი, რომელმაც თავისი წარმატების გამეორება ხუთი წლის შემდეგ შეძლო, და სამჯერ შედიოდა გუნდის შემადგენლობაში დევისის თასის გათამაშებაზე, თასის გათამაშების დაარსების დღიდან 1900 1923 წლებში. ასპარეზობაში მონაწილეობდა ავსტრალაზიის ნაკრები, რომელიც ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ჩოგბურთელებისაგან შედგებოდა.

ეს იყო მეორე ავსტრალიელი ჩოგბურთელის — ნორმან ბრუქსის ნიჭის აყვავების ხანა. ლეგენდარულმა ცაცია-ჩოგბურთელმა უცხოელთაგან პირველმა გაიმარჯვა უიმბლდონში 1907 და 1914 წლებში, როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგებში. 1905-1920 წლებში ბრუქსი 39-ჯერ გამოვიდა დევისის თასის გათამაშებაში და ექვსჯერ მოიპოვა საპატიო პრიზი, თუმცა ავსტრალიის ჩემპიონი იგი მხოლოდ ერთხელ გახდა — 1911 წელს. საინტერესოა, რომ 1924 წელს 46 წლის ბრუქსი კვლავ დაბრუნდა უიმბლდონში და შეძლო ასპარეზობის მეოთხე წრემდე მისვლა.

ავსტრალიის ჩემპიონატებში გამარჯვებათა რაოდენობით რეკორდსმენია ცნობილი სიდნეელი ჩოგბურთელი როი ემერსონი, რომელმაც მოახერხა ზედიზედ ხუთი წლის მანძილზე — 1963-1967 წლებში — უცვლელი ჩემპიონი ყოფილიყო.

თავისებურ რეკორდსმენად შეგვიძლია მივიჩნიოთ სხვა ავსტრალიელი ჩოგბურთელიც — კენ როუზვოლი. მან ქვეყნის ჩემპიონის წოდება პირველად მოიპოვა 1953 წელს 18 წლისამ, მაგრამ 20 წლის შემდეგ შეძლო ამ ტიტულის დაბრუნება. როუზვოლმა გაიმარჯვა მრავალ დიდ ასპარეზობაში, მაგრამ უიმბლდონის ტურნირის მოგება ვერაფრით ვერ მოახერხა, თუმცა ფინალში ოთხჯერ ითამაშა. უკანასკნელად იგი ფინალში გამოვიდა 1974 წელს, როცა 40 წლისა იყო.

ავსტრალიის პირველი ღია ჩემპიონატი პროფესიონალი ჩოგბურთელების მონაწილეობით გაიმართა 1969 წელს და პირველი პრიზი — 5 ათასი დოლარი — წილად ხვდა ლეგენდარულ როდ ლეივერს. შედარებისათვის ვიტყვით, რომ შვედი სტეფან ედბერგი — ორ უკანასკნელ ჩემპიონატში გამარჯვებული — უკვე 100 ათას დოლარს იღებდა პრიზის სახით. შედარებით მოკლე დროში ჰონორარის თანხა ოცჯერ გაიზარდა.

სხვათა შორის, შვედი ჩოგბურთელები უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ზედიზედ იმარჯვებენ ავსტრალიის ღია ჩემპიონატში, რითაც აბათილებენ იმ შეხედულებას, თითქოს ევროპელებს უჭირდეთ ბალახის კორტებზე თამაში. ედბერგამდე ტურნირი ორჯერ მოიგო მატს ვილანდერმა (1983-1984 წლები).

ავსტრალიის ქალთა პირველი ჩემპიონატი 1922 წელს გაიმართა სიდნეიში. იგი მოიგო მარგარეტ მილეოორზმა, რომელმაც ეს წარმატება ერთი წლის შემდეგაც გაიმეორა, ამჯერად — ბრიზბანში.

ჩემპიონატების უდავო რეკორდსმენად კი შეიძლება ჩაითვალოს მარგარეტ სმიტ-კორტი. იმ პერიოდში, როცა თავისი ქალიშვილობის გვარით გამოდიოდა, მან ზედიზედ შვიდჯერ გაიმარჯვა ამ ტურნირში (1960-66 წლები), შემდეგ კი, 1969-1973 წლებში, კიდევ ოთხჯერ მოიპოვა ავსტრალიის ჩემპიონის წოდება.

„კუიონგის“ ჩოგბურთის სტადიონი დროთა განმავლობაში მოძველდა როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა აეშენებინა ახალი სტადიონი — ჩოგბურთის ცენტრი, რომელიც ამჟამად მელბურნის „ფლინდერსის“ პარკში მდებარეობს. როგორც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ფილიპ ჭატრიემ თქვა, ახალი ცენტრი თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ XXI საუკუნის სპორტულ ნაგებობებს.

დიდი ხნის კამათის შემდეგ გადაწყდა უარი ეთქვათ კორტის ბალახის საფარზე, შეეცვალათ იგი უფრო პრაქტიკული — ხელოვნური საფარით, ასე, რომ „დიდი მუზარადის“ ტურნირებიდან ახლა მხოლოდ უიმბლდონი რჩება „ლაუნ-ტენისის“ ერთგული.

სხვათა შორის, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, „ფლინდერსი“ მომავალი წლის დეკემბრის დამლევს მიიღებს ფედერაციის თასის გათამაშების მონაწილეებს. საერთოდ, უკანასკნელ წლებში კარგ ტრადიციად იქცა ამ დიდი ასპარეზობის გამართვა ჩოგბურთის ახალ სტადიონებზე. ასე იყო 1985 წელს იაპონიის ქალაქ ნაგოიაში, შემდეგ — პრაღასა და ვანკუვერში.

ა. მეტრეველი,
საქინფორმის სპორტული მიმოხილველი.

ᲝᲠᲒᲐ—ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

დეთ მაღლა, შემდეგ დაიხედეთ დაბლა 5-5-ჯერ, აიხედეთ მარჯვნივ მაღლა კუთხეში, შემდეგ დაიხედეთ მარცხნივ დაბლა კუთხეში. აიხედეთ მარცხნივ მაღლა კუთხეში და დაიხედეთ მარჯვნივ დაბლა კუთხეში 5-5-ჯერ. თვალები ატრიალეთ ირგვლივ ჯერ ერთ, შემდეგ მეორე მიმართულებით 15-15-ჯერ. ამის შემდეგ მაგრად დახუჭეთ და ფართოდ გაახილეთ თვალები 10-15-ჯერ: სავარჯიშოების შესრულება სასარგებლოა არა მარტო ჯანხელილი, არამედ დახუჭული თვალებითაც. მათი შესრულება საჭიროა მჯდომარე მდგომარეობაში 1-2 წუთის ინტერვალით.

შენიშვნა. ერთიდან მეორე მიმართულებაში გადატანამდე თვალები უნდა დაახამხამოთ. ამ ვარჯიშისას სუნთქვა არ უნდა შეაკავოთ, თავისუფლად ისუნთქეთ.

ეფექტი. იოგები ამბობენ, რომ თვალების ეს ვარჯიში შესანიშნავად მოქმედებს მხედველობაზე. იმას, ვინც თვალების ვარჯიშს ახალგაზრდობაში დაიწყებს, ღრმა მოხუცებულობამდე სათვალე არ დასჭირდება.

ᲛᲮᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲬᲔᲕᲐ—„ᲑᲠᲘᲚᲘᲐᲜᲢᲘᲡ“ ᲞᲝᲖᲐ“ (ᲡᲣᲠ. 22)

მეთოდი: დაჯექით „ბრილიანტის“ პოზაში, მხრები მაღლა ასწიეთ, რამდენადაც შეგიძლიათ მოხარეთ და გაშალეთ 4-5-ჯერ.

ეფექტი. ამ მარტივი ვარჯიშით კისრის მასაჟი ხორციელდება. იგი შველის თავის ტკივილსა და კისრის დაჭიმულობას.

ᲡᲐᲛᲣᲐᲙᲘ ᲛᲣᲨᲐ (ᲡᲣᲠ. 23)

მეთოდი. სწორად დადექით. ცერებით დაიცავით ყურები, საჩვენებელი თითები დაიდეთ თვალის ქუთუთოებზე, შუა თითები — ნესტოებზე, არათითები — ზედა ტუჩზე, ნეკები — ქვედა ტუჩზე, გაბერეთ ნესტოები, ჩაისუნთქეთ და შეიკავეთ სუნთქვა 4 წამი, ამოისუნთქეთ და დაისვენეთ.

ეფექტი: ეს ვარჯიში აგაცილებთ უსიამოვნო ფიქრებსა და უარყოფით ემოციებს.

ᲚᲝᲛᲘᲡ ᲞᲝᲖᲐ (ᲡᲣᲠ. 24)

მეთოდი. დაჯექით ქუსლებზე, ხელები მუხლებზე დაიწყვეთ, თითები გაშალეთ. ღრმად ჩაისუნთქეთ, ამოისუნთქეთ, შემდეგ ფართოდ გააღეთ პირი, გამოყავით ენა, რამდენადაც შეძლებთ. დაძაბეთ თითები, გააფართოეთ თვალები, დაძაბეთ, რამდენიმე წამის შემდეგ მოადუნეთ კუნთები. იგივე გაიმეორეთ 5-6-ჯერ.

ეფექტი: ვარჯიში ხელს უწყობს ყელის კუნთების ტონუსს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, რაც კარგი საშუალებაა ყელის ტკივილის დროს.

ᲯᲐᲜᲐᲝᲑᲐ (ᲡᲣᲠ. 25)

მეთოდი: დაჯექით იატაკზე. ასწიეთ მუხლები ისე, რომ ტერფები იატაკს არ მოსცილდეს, ხელები ფეხებს შემოაჭდეთ მუხლებს ქვემოთ, გადაიხარეთ წინ და უკან ხერხემალზე, შემდეგ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. 5-ჯერ გაიმეორეთ მოძრაობა შეუჩერებლივ.

ამ ვარჯიშის შესრულება კარგია დილით, რადგან იგი ამაგრებს და დრეკადობას მატებს ზურგსა და ხერხემალს. ეს ვარჯიში ძილსაც აუმჯობესებს.

ᲝᲗᲮᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ:

1. ვარჯიშები შეასრულეთ ხალიჩასა ან ოთხად მოკეცილ ქსოვილზე.
2. ივარჯიშეთ კარგად განიავებულ ოთახში.
3. ივარჯიშეთ დილით უზმოზე, დალიეთ ოთახის ტემპერატურის ერთი ჭიქა წყალი ულუპებად.
4. დასაწყისში ივარჯიშეთ არაუმეტეს 15 წუთისა.
5. არასოდეს ივარჯიშოთ 1 საათზე მეტხანს.
6. ვარჯიშებს შორის ხშირად დაისვენეთ.
7. ვარჯიშის დროს ღრმად და რიტმულად ისუნთქეთ.
8. ისუნთქეთ ყოველთვის ცხვირით (თუ სპეციალური მითითება არა გაქვთ).
9. ავადმყოფობის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში შეასრულეთ მხოლოდ სუნთქვითი ვარჯიშები, შემდეგ თანდათანობით გადადით სხვა ვარჯიშებზე.
10. ქალები მენსტრუაციის დროს მხოლოდ სუნთქვითი ვარჯიშებს უნდა ასრულებდნენ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ.



სურ. 22.



სურ. 23

სურ. 24



სურ. 25

(გაგრძელება იქნება)

ᲒᲓᲠ-ᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოწვევის საპასუხოდ გდრ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც სეულში ჩატარდება.

მიიღო რა ეს გადაწყვეტილება, გდრ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა რწმენა გამოთქვა, რომ თამაშები ოლიმპიური ქარტიის პრინციპების შესაბამისად ჩატარდება და ხელს შეუწყობს ოლიმპიური მოძრაობის შემდგომ განმტკიცებას, ხალხთა შორის ურთიერთგაგებას, ქვეყნად მშვიდობის დამყარებას.

გდრ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა ამასთან განაცხადა, რომ მზარს დაუჭერს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მცდელობას, რათა თამაშები კორეის ორთავე ნაწილში ჩატარდეს.

ᲝᲡᲙᲐᲠ ᲨᲛᲘᲓᲢᲘ — ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ. სპორტულ ჟურნალ „პლაკარის“ საახალწლო ანკეტაში წლის საუკეთესო სპორტსმენად ვაუთა შორის დასახელებულია კალათბურთელი ოსკარ შმიდტი. ქალთა შორის უპირატესობა ჟურნალისტებმა ასევე კალათბურთელ ორტენზია მაკარის მიანიჭეს.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲑᲖᲔ

ᲤᲔᲮᲑᲖᲣᲠᲗᲘ. საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოებების პირველობა უმაღლეს ხასწავლებლებს შორის. „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მოედანი. 27 დეკემბერი. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი — გორის ეკონომიკის ინსტიტუტი. დასაწყისი 14 ს.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲑᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ“ 1-ᲚᲘ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (2-4 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ)

		ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ		
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲑᲣᲠᲗᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ)				
1. „დინამო“ (მოსკოვი) — „ზორკი“ (კრასნოგორსკი)	2.I	60	20	20
2. „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „სტარტი“ (გორკი)	2.I	50	20	30
3. „ვოდნიკი“ (არხანგელსკი) — „სტროიტელი“ (სიქტივკარი)	2.I	60	20	20
4. „ენისეი“ (კრასნოიარსკი) — ასკ (სვერდლოვსკი)	2.I	60	30	10
5. „საიანი“ (აბაკანი) — „ლოკომოტივი“ (ირკუტსკი)	2.I	80	10	10
6. „კუზბასი“ (კემეროვო) — „დინამო“ (ალმა-ათა)	2.I	20	40	40
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲑᲣᲠᲗᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ (ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲒᲐ)				
7. „რაკეტა“ (ყაზანი) — „სევერი“ (სვერდლოვსკი) I თამაში	3.I	50	20	30
8. „კრასნაია ზარია“ (ლენინგრადი) — „ზნამია“ (ვოტკინსკი) I თამაში	3.I	40	20	40
9. „ოკა“ (ნიჟნი ნოვგოროდი) — „ურალეცი“ (ურალსკი) I თამაში	3.I	30	20	50
ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲨᲐᲘᲑᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ				
10. შვეცია — ფინეთი	3.I.	60	10	30
11. აშშ — ჩეხოსლოვაკია	3.I	20	20	60
12. შვეცია — აშშ	4.I	50	20	30
13. ფინეთი — ჩეხოსლოვაკია	4.I	40	20	40

რედაქტორი
თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ინდექსი: 85485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008, თბილისი, დონინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საკავშირო კრებულში, ხიზანიშვილის ქ. 29. უე 15445